



ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030862643968318

№ 07-12/ო

11 / იანვარი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცენტრალური აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის № 146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საკონკურსო კომისიის, კომისიის სამდივნოს და საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2018 წლის 10 იანვრის №07-11/ო ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. არაუგვიანეს 2018 წლის 18 იანვრისა გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ცენტრალური აპარატის, დანართი 1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. დამტკიცდეს ფონდის ცენტრალური აპარატის ამ ბრძანების დანართი 1-ით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობებისთვის განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნები დანართი 2-ის შესაბამისად.
3. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა ათი კალენდარული დღის ვადა, კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
4. ეთხოვოს ფონდის საკონკურსო კომისიას კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცენტრალური აპარატის, ვაკანტური პოზიციები

#	თანამდებობა	საშტატო ერთეული (5)	თანამდებობრივი სარგო
1	დირექტორის მოადგილე	1	4000
2	მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი	1	1000
3	სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	1	1200
4	სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი	1	1000
5	ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი	1	1000

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცენტრალური აპარატის ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნები

თავი I

ზოგადი საკონკურსო მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების და კანდიდატის შერჩევის მიზნით, განსაზღვრავს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრეს, ადგენს არსებულ ვაკანსიაზე შესაბამის საკონკურსო მოთხოვნებს.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე კანდიდატები

ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან (კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის, განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, შესაძლოა, იყოს 18 წელზე მეტი), რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი, პროფესიული ან საბაზისო განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 3. კონკურსისთვის წარმოსადგენი საბუთები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის, www.hr.gov.ge, მეშვეობით განცხადების გაკეთებისას, საჭიროების შემთხვევაში (მითითებულია კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის გამოცხადებისას), ასევე უნდა წარმოადგინოს:

- ა) განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) სერთიფიკატ(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კანდიდატმა, ფონდის საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში, დამატებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) რეზიუმე (CV);
- დ) 2 ცალი ფოტოსურათი;
- ე) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ფსიქიატრის დასკვნა (ფსიქო);
- ზ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- თ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

3. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განცხადების წარდგენისთვის კანდიდატებს ეძლევათ 10 სამუშაო დღე აღნიშნულ ვებგვერდზე ვაკანსიის გამოცხადების დღიდან.

4. წარმატებული კანდიდატის მიერ დადგენილ ვადაში (ეცნობებათ დამატებით) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, მისი დანიშვნა ვაკანტურ თანამდებობებზე არ განხორციელდება და აღნიშნული თანამდებობა ჩაითვლება ვაკანტურად.

5. ფონდის საკონკურსო კომისია/საკონკურსო კომისიის სამდივნო და საპრეტენზიო კომისია კანდიდატებთან კომუნიკაციას ახორციელებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სატელეკომუნიკაციო საშუალებები.

მუხლი 4. საკონკურსო მოთხოვნებთან კანდიდატის შეუსაბამობა

1. კანდიდატი ჩაითვლება შეუსაბამოდ საკონკურსო მოთხოვნებთან მიმართებაში, თუ მის მიერ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია არ შეესაბამება ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრულ ამ დანართით დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს.

თავი II

ფონდის ცენტრალური აპარატის ვაკანტური თანამდებობის, საშტატო ერთეულები, ვაკანსიაზე არსებული საკონკურსო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა

მუხლი 5 . დირექტორის მოადგილე (1 საშტატო ერთეული)

1. დირექტორის მოადგილის თანამდებობის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება – მაგისტრის ხარისხი ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომი;

ბ) მუშაობის არანაკლებ 7 წლის (მათ შორის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში მენეჯერულ თანამდებობაზე მუშაობის 3 წლის) გამოცდილება;

გ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;

დ) კომპიუტერული საოფისე პროგრამების (მათ შორის სასურველია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) მუშაობის) ცოდნა.

ე) მართვის უნარი;

ვ) გუნდური მუშაობის უნარი;

ზ) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;

თ) კომუნიკაბელურობა;

ი) საქმიანობასთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტების ცოდნა;

კ) ორგანიზებულობა;

ლ) წერიტი, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების ანალიზის უნარი.

მ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

ა) მის საკურატორო (ფონდის აპარატი) სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) თავის საკურატორო სფეროში დასაქმებულ ფონდის თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილება, მათთვის სათანადო მითითებებისა და დავალებების მიცემა, ფონდის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;

გ) ფონდის დირექტორისათვის წინადადებების წარდგენა მის საკურატორო სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

დ) თავის საკურატორო სფეროში ფონდის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ წინადადებების წარდგენა ფონდის დირექტორისათვის.

3. თანამდებობრივი სარგო 4000ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;

ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;

ზ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“.

თ) საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“;

ი) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“.

მუხლი 6 . სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული)

1. იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 3 წლის (მათ შორის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში იურისტად მუშაობის) გამოცდილება;

გ) ადვოკატის სერთიფიკატი;

დ) კომუნიკაბელურობა;

ე) ორგანიზებულობა;

ვ) გუნდური მუშაობის უნარი;

ზ) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;

თ) წერიტი, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების ანალიზის უნარი;

ი) კომპიუტერის – საოფისე პროგრამების, მათ შორის სასურველია დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემის (დეს), ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

კ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;

ლ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

ა) გეგმავს და აკონტროლებს იურიდიული სამმართველოს საქმიანობას;

ბ) ანაწილებს დავალებებს სამმართველოს თანამშრომელთა შორის, აძლევს მათ მითითებებს;

გ) ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

დ) პასუხისმგებელია იურიდიული სამმართველოს წინაშე დასმული ამოცანების შესრულებაზე;

ე) უზრუნველყოფს სამმართველოში თანამშრომელთა კოორდინირებულ მუშაობას;

ვ) ვიზირებას უწევს იურიდიულ სამმართველოსთან შესათანხმებელ დოკუმენტაციას;

ზ) ხელმოწერით ადასტურებს სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს;

თ) იურიდიულ კონსულტაციებს უწევს ფონდის თანამშრომლებს და უზრუნველყოფს სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებას;

ო) ახორციელებს სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების მომზადებას და/ან სამართლებრივ ექსპერტიზას;

კ) ასრულებს ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართულ ფონდის დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებებს.

3. თანამდებობრივი სარგო 1200 ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;

გ) საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“.

ე) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ვ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“;

ზ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;

თ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;

ი) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;

კ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;

ლ) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

მ) საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;

ნ) საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“;

მუხლი 7. სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (1 სამტატო ერთეული)

1. საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობების/კომუნიკაციების კუთხით განათლების დამადასტურებელი დიპლომი/სერტიფიკატი;

ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის (სასურველია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში მუშაობის) გამოცდილება;

გ) საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა;

დ) კომუნიკაბელურობა;

ე) ორგანიზებულობა;

ვ) გუნდური მუშაობის უნარი.

ზ) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;

თ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

ი) კომპიუტერის – საოფისე პროგრამების ცოდნა, სასურველია იცოდეს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს)მუშაობა

კ) ინგლისური ენის ცოდნა (წარმოსადგენია შესაბამისი დიპლომი/სერტიფიკატი).

ლ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

ა) მონაწილეობს სოციალური პროექტების/პროგრამების დაგეგმვა-შემუშავების პროცესში;

ბ) მონაწილეობს სოციალური პროექტების/პროგრამების განხორციელებაში;

გ) მონაწილეობს ფონდის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშების პროექტების, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, ასევე ეროვნული სამოქმედო გეგმებითა და სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებული ფონდის მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესრულების შესახებ ანგარიშების პროექტების მომზადებაში;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ მასალას და აწვდის სამმართველოს შესაბამის თანამშრომელს;

ე) ასრულებს ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართულ ფონდის დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილის, სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსისა და უშუალო უფროსის სხვა დავალებებს.

3. თანამდებობრივი სარგო 1000ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;

გ) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“;

ვ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“;

ზ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;

თ) „კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის №01-64/ნ ბრძანება.

ი) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;

მუხლი 8 . მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული)

1. მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) მუშაობის არანაკლებ 3 წლის, მათ შორის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში (მონიტორინგის მიმართულებით) მუშაობის გამოცდილება;
- გ) საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა;
- დ) გუნდური მუშაობის უნარი;
- ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ვ) კომუნიკაბელურობა;
- ზ) კომპიუტერის – საოფისე პროგრამების ცოდნა, სასურველია იცოდეს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) მუშაობა.
- თ) ანგარიშების მომზადების გამოცდილება;
- ი) ორგანიზებულობა;
- კ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ლ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).

2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:

- ა) ახორციელებს ფონდის ცენტრალური აპარატის, სტრუქტურული (თავშესაფარი) და ტერიტორიული (ფილიალი) ერთეულების მონიტორინგს ან/და შეფასებას;
- ბ) ფონდის დირექტორთან შეთანხმებით, ნებისმიერ დროს, ამოწმებს ფონდის ცენტრალურ აპარატს, ფონდის სტრუქტურულ (თავშესაფარი) და ტერიტორიულ (ფილიალი) ერთეულებს, ასევე, თანამშრომლებს საჭიროებისამებრ ართმევს ახსნა-განმარტებებს;
- გ) სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, ფონდის სტრუქტურული (თავშესაფარი) და ტერიტორიული (ფილიალი) ერთეულების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს მოსთხოვოს მათ ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მათი მიღება დედნის ან დამოწმებული ასლის სახით, ასევე, საჭიროებისამებრ, ჩამოართვას ახსნა-განმარტება;
- დ) ვალდებულია, მონიტორინგის ან/და შეფასების დასრულების შემდეგ, სამმართველოს უფროსს გონივრულ ვადაში წარუდგინოს შედეგები;
- ე) სპეციალური უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვ) ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს;
- ზ) მონაწილეობას იღებს მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის საფუძველზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში;
- თ) მონაწილეობს პროექტების/პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში;
- ი) მონაწილეობს ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების მონიტორინგის ან/და შეფასების განხორციელებაში;
- კ) ამზადებს ფონდის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშების პროექტების, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, ასევე ეროვნული სამოქმედო გეგმებითა და სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებული ფონდის მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესრულების შესახებ ანგარიშების პროექტებს;
- ლ) ახორციელებს სამმართველოში შემოსული წერილების განხილვასა და შესრულებას;
- მ) ასრულებს ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართულ ფონდის დირექტორისა და უშუალო ხელმძღვანელის სხვა დავალებებს.

3. თანამდებობრივი სარგო 1000ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“;
- გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;

- დ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;
- ე) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
- ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- ზ) საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- თ) საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
- ი) საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“;
- კ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“;
- ლ) „კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის №01-64/ნ ბრძანება.
- მ) „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-54/ნ 2014 წლის 23 ივლისის.
- ნ) სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის №01-54/ნ ბრძანება.

მუხლი 9. ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული)

1. მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად დამატებით დადგენილია შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:
- ა) უმაღლესი განათლება;
 - ბ) სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით (მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებზე) არანაკლებ 3 წლის, მათ შორის სახელმწიფო სამსახურში 1 წლის მუშაობის გამოცდილება;
 - გ) საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა;
 - დ) გუნდური მუშაობის უნარი;
 - ე) კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
 - ვ) კომუნიკაბელურობა;
 - ზ) ორგანიზებულობა;
 - თ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
 - ი) კომპიუტერის – საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე.
- კ) 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით).
2. ძირითადი სამუშაო აღწერილობა:
- ა) უზრუნველყოფს ცენტრალური აპარატის საოფისე ფართობის და მასში განთავსებულ მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვაზე, დაცვასა და ექსპლუატაციაზე ზედამხედველობას;
 - ბ) უზრუნველყოფს სამეურნეო საშუალებების რაციონალურ განაწილებას;

გ) ახორციელებს სასაწყობო მეურნეობის წარმართვას, შემოსული და გასული მატერიალური ფასეულობების და სახარჯი მასალების აღრიცხვიანობას, მათ დოკუმენტებში ასახვას;

დ) ახორციელებს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებიდან ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო საქონლის, რბილი ინვენტარის, სამეურნეო საქონლის საჭირო რაოდენობის თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვას და დამუშავებას;

ე) ახორციელებს ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისთვის ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო საქონლის, რბილი ინვენტარის, სამეურნეო საქონლის მიწოდებაზე მონიტორინგს;

ვ) ახორციელებს დამუხტული კარტრიჯების აღრიცხვასა და სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის განაწილებას;

ზ) სპეციალური უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) ასრულებს ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართულ ფონდის დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსისა და უშუალო უფროსის სხვა დავალებებს.”

3. თანამდებობრივი სარგო 1000ლარი.

4. შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:

ა) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულება“;

ბ) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილება "საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე".

გ) "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება.